# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 220

შაბათი, მაისის 20

1922 წ.



სახელმწიფო ოპერის თეატრი.

კვირას, ივნისის 4.

გრიშაშვილის საღამო

ბილეთები კასაში დაწვრილებით აფიშებში.

განცხადება

[კვი]რას, მაისის 21-ს, დილის 12 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში

[სრ]ულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თაოსნობით

გაიმართება

[ზ]აქარია ჭიჭინაძის

50 წლის მოღვაწეობის იუბილე

სახელმწიფო, საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომელთაც სურთ სიტყვით მიმართონ იუბილიარს, წინასწარ უნდა ჩაეწერონ შაბათს ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) დილის 11—2 საათამდე და კვირას ოპერის თეატრში 10—12 საათამდე.

[ს]აიუბილეო კომიტეტი.


## ქართული ენის უფლებისათვის

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო ამხ. ნ. მა—ლის პატარა შენიშვნა იმ ანორმალური მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნილა ტფილისის სამაზრო სტატისტიკურ ბიუროში, საიდან ქართული ენის განდევნის გამო. კორესპონდენტი გადმოგვცემთ, [illegible] ქართულმა ამ დაწესებულებაში ადგილი დაუთმო რუსულ ენას და ამის გამო იმდენად ანორმალური მდგომარეობა შეიქმნა, რომ საქმის წარმატება ძლიერ ძნელდება და შეუძლებელი ხდება შესაფერისი დამოკიდებულების დამყარება სოფლებთან, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდან ბიუროს წინადადებაც კი მოუვიდა საქმეები აწარმოოს მხოლოდ ქართულს ენაზე და გამონაკლისიც არ დაუშვას, მაგრამ გამგე შეგნებულად გვერდს უხვევს ასეთს განკარგულებას და განაგრძობს თავისი სურვილებისამებრ რუსულს ენაზე მიმოწერის წარმოებას. მაგრამ ის არა მარტო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განკარგულებას არღვევს, ამავე მთავრობის დეკრეტსაც ქართული ენის შესახებ, რომლის ძალით ქართული ენა სახელმწიფო ენათ არის გამოცხადებული და სავალდებულოა ყველა დაწესებულებაში მისი საშუალებით საქმეების წარმოება.

მაგრამ ეს ფაქტი დამახასიათებელია არა მარტო ტფილისის სამაზრო სტატისტიკურ ბიუროსა და იქ შექმნილ პირობებისათვის, ეს ახასიათებს მთელი ჩვენი დაწესებულებების ცხოვრებასაც. თითქოს ყველა ჩვენს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში ადგილი გვაქვს ასეთ ფაქტებთან. გამგებლების თვითნებობისა, თუ სხვა მიზეზების გამო, ჩვენი დაწესებულებათა საქმის წარმოებიდან განდევნილ იქნა ქართული ენა და რუსულმა დაისაკუთრა პირველობა. ჩვენ არ შეგვიძლია ადვილად ჩვენით არც ერთი დაწესებულება ტფილისში, სადაც ასეთს მდგომარეობასთან არ გვქონდეს საქმე. პროცესი ქართული ენის განდევნისა დაწესებულებიდან და რუსული ენის გაბატონებისა, საუბედუროდ, შეუჩერებლივ წარმოებს და მალე, ალბათ, თავის ლოგიკურს დასკვნამდე მივა.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მთავრობამ არა ერთხელ გამოსცა დეკრეტი ქართული ენის სავალდებულო ხმარების შესახებ დაწესებულებებში, მაგრამ დეკრეტი დეკრეტად და დარჩა ფაქტი [illegible] მდგომარეობა ვერ იქმნა ანორმალურ პირობებიდან გამოყვანილი. მთავრობის განკარგულებანი და დეკრეტები უწინარეს ყოვლისა სავალდებულო და მისაბაძი უნდა იყოს სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, მათ უნდა უჩვენონ [illegible] მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებები. აბა ჩამოიარეთ ეს სახელმწიფო დაწესებულებანი, სხვა და სხვა სახალხო კომისარიატები, აღმასკომები, გაეცანით მათ საქმის წარმოებას, მიწერ-მოწერასა და ნახავთ თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში მთავრობის განკარგულებანი. აიღეთ ახლა საქართველოს პროფესიონალური კავშირები, ეს მუშათა უმაღლესი ორგანიზაცია, აქაც ასეთს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე და პროფკავშირის საბჭოს სხდომებზე ქართულს ენას სტუმრის ადგილიც არ აქვს დათმობილი მაშინ, როდესაც ყველასათვის ნათელი და გარკვეული არის, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა, ქალაქისა თუ სოფლის პროლეტარიატის ელემენტებმა ძლიერ სუსტად იციან უცხო ენა და ამისათვის მათ არ აქვთ არც შესაფერისი ცოდნა და არც მდგომარეობა უწყობს ხელს, პროფკავშირი, მუშათა ორგანიზაციები თავზე ახვევს ხალხს უცხო ენას და ჰქმნის არა ნორმალურს განწყობილებას.

მაგრამ რა მიზანი დაწესებულება და ორგანიზაცია უნდა ჩამოითვალოს, იმ ანორმალური მდგომარეობის აღსანიშნავად, რომელიც შექმნილი არის ქართულ ენისათვის. ამაზე უფრო ანორმალური მდგომარეობა კიდევ იქნება, მთავრობა ადგენს, სცემს განსაკუთრებულ დეკრეტებსა და განკარგულებებს, და მისი ხელქვეითი ორგანოები კი ამ განკარგულების საწინააღმდეგო გზით მიდიან. ამ მხრივ ცხოვრება და დეკრეტი თითქოს დაშორდნენ ერთი მეორეს. სახელმწიფო აპარატი აღარ მოქმედებს ისე და იმ გეგმით, როგორც ამას მოითხოვს ხელისუფლება. როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ასეთს წინააღმდეგობასთან საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა შორის, ეს ნათელი დამამტკიცებელია იმისი, რომ მთელი სახელმწიფო აპარატი დაავადმყოფებული არის და მას დიდი მაშტაბით ესაჭიროება შესაფერისი რეცეპტით წამლობა, რათა სახელმწიფოს არტერიებში თავმოყრილი შემაფერხებელი ბაცილები თავის დროზე იქნან განადგურებული და მუშურ გლეხურ რესპუბლიკამ შესაფერისი ელასტიკობით განაგრძოს თავისი მოღვაწეობა. სწორედ ამ ნიადაგზე ვითარდება სახელმწიფო აპარატი წყლული ბიუროკრატიზმი, რომელიც აქვე ავნებს მის წარმატებას. ამას კი ემატება მიზანშეწონილი წესი [illegible] რესპუბლიკის ორგანოებში გამოცოცხლებული ელემენტების შემოსვლა და მისი ერთის გეგმით ამოძრავება.

ჩვენ არ შეგვიძლია გულის ტკივილით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დღესაც ქართული ენა შევიწროებულს მდგომარეობაში იმყოფება თავის სამშობლოში, და უცხო ენა საკმაოდ არა სასურველ აგრესივობას იჩენს მის მიმართ. პირდაპირ ანორმალური და სავალალო არის ქართველი ხალხისათვის, რომ მის საკუთარ მიწა-წყალზე, თავის ეროვნულს დაწესებულებებში და კულტურის დარგებში კვლავ იდგას „ენის ნაციონალიზაციის საკითხი“ და ეს დიდი კითხვა ამდენი ხნის განმავლობაში ვერ შეიძლება [illegible] პრაქტიკულად გადაჭრა და ერთი და სამუდამოდ მოისპოს ასეთი კითხვების არსებობა ჩვენში. საუბედუროდ, ჩვენი ცხოვრება ვერ მიდის ამ მიმართულებით ქართული ენისათვის თავისი შესაფერისი ნიადაგის შექმნისაკენ, წინააღმდეგ მდგომარეობა უფრო რთულდება და „ენის საკითხი“ მწვავე ხასიათს ღებულობს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ისტორიული პირობების გამო, რუსულმა ენამ და კულტურამ ჩვენში აგრესიულის საშუალებით დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს კულტურას და ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა რუსეთის ცარიზმი. დღეს ცარიზმის ნაშთები მოისპო; მაგრამ ქართულმა ენამ და კულტურამ ვერ განითავისუფლა თავი იმ ძალდატანებისაგან, რომელსაც ის განიცდიდა ერთს საუკუნეზე მეტს. ჩვენში ეს ანორმალური მდგომარეობა ჩვენი კულტურისათვის კვლავ განაგრძობს არსებობას და არ არის შესაფერისი ნაბიჯები გადადგმული პირობების გამოსასწორებლად.

ქართველი ხალხი მოყვარული და პატივისმცემელია ყოველი კულტურისა და ენის; ის არ გაურბის [illegible] კულტურულ ურთიერთობის დამყარებას და შეურიც რომ ცდილობს, ასეთ ურთიერთობას ვერ ასცდეს ვერ გაექცევა. მაგრამ საქართველოს მშრომელ ხალხს მასთანვე სურს თავის საკუთარ კულტურასა და ენას უპატრონოს, მოუაროს და მისი წარმატებისათვის შესაფერისი ნიადაგი შექმნას.

ასეთი ცდა ბუნებრივი და სიმპატიური და ვერავინ ვერ გაამტყუნებს ჩვენს ხალხს იმ თავგამოდებულ ბრძოლას, რომელსაც ის იჩენს ეროვნული კულტურის დაცვისათვის. ჩვენ არავის არ ვავიწროებთ, ჩვენ არავის უფლებებს არ ვზღუდავთ, წინააღმდეგ ჩვენს უფლებებს ზღუდავენ, ჩვენს ენას ავიწროვებენ და ბუნებრივი არის, რომ ასეთ მდგომარეობაში ქართველი ხალხი პროტესტს აცხადებს და მოითხოვს თავის კანონიერ უფლებების აღდგენას. ჩვენ არ გვინდა ვინმე იყოს ჩვენი კულტურის ძალდატანების ობიექტი, ასევე ნურც სხვები მოისურვებენ ჩვენზე რაიმე ძალდატანების განხორციელებას.

ერთხელ კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ენის შევიწროებით და მისი დაწესებულებებიდან განდევნით ძლიერ მძიმე ატმოსფერა იქმნება. ამ გარემოებას არსებითი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა ხელისუფლებამ, მშრომელ ხალხს სწყურია თავისი ენის შესაფერისი უფლებებით აღჭურვა და მისი წარმატება; მთავრობამ ეს კეთილი სურვილი რეალურად უნდა განახორციელოს. როგორც სჩანს, არ კმარა მარტო დეკრეტებისა და განკარგულებების გამოცემა, არც „თავისთავად“ კეთდება თურმე საქმე. საჭიროა დადგენილების შეუწყვეტლად ცხოვრებაში გატარება და ამისათვის ნიადაგის შექმნა. ჩვენს ორგანოებში ისეთი პირები მოღვაწეობენ, რომელნიც სისტემატიურად ებრძვიან ქართული ენის სახელმწიფო ენად გადაქცევას და ძლიერ ხშირად ისინი დეკრეტებს მაგიდის უჯრებში ინახავენ, მზის სინათლის უნახველად. ასეთი მდგომარეობა აუცილებლად უნდა მოისპოს და აილაგმოს ის ელემენტები, რომელნიც სისტემატიურად ხელს უშლიან მთავრობის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას და ძირს უთხრიან ქართულ ენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ და კვლავ ასეთს არანორმალურ პირობებში იქნება საქმე.

ქართული ენა თავის შესაფერისი უფლებით აღჭურვას მოითხოვს თავის სამშობლოში და ამაში მას უნდა დავეხმაროთ მთელის ჩვენის ძალ-ღონით.

ხ. დეგაანი.

## გენუას გოდოლი

ოთხი კვირაა, რაც გენუას კონფერენცია მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ დამალული გამოაშკარავდა, საქვეყნოდ გამომჟღავნდა. უპირველესად ყოვლისა ყველასათვის ცხადი და ნათელი შეიქნა ის სასტიკი ანტაგონიზმი, ფარული წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა და არსებობს „გამარჯვებულ“ ანტანტის სახელმწიფოებს შორის. საფრანგეთისა და ინგლისის ინტერესთა სხვადასხვაობამ ჯერ კიდევ გენუამდე იჩინა თავი. გენუაში კი ამ გიგანტთა თვალსაზრისის შეურიგებლობა საბოლოოდ გამოაშკარავა საბჭოთა ფედერაციის პრობლემამ.

ბურჟუაზიული მსოფლიოს წინაღობები არსებითად დიალექტიურია. კაპიტალისტური სახელმწიფოები ერთ და იმავე დროს მოყვრებიც ერთმანეთის და მტრებიც. როდესაც საერთო საშიშროება—რევოლიუციური ქარიშხალი—ემუქრება მათ, ისინი ერთდებიან ერთ განუყოფელ ერთეულად, ხოლო როდესაც ასეთი რამ საშიშროება არ არის, მათ შორის შინაური კინკლაობა, შინაური ბრძოლა იწყებს მოქმედებას.

როდის იმყოფებოდა ანტანტა პოლიტიკურ მთლიანობაში? ომის დროს და რუსეთის რევოლიუციის აგრესიული ხასიათის ხანაში. ევროპიული ომს ბოლო მოეღო. ბოლშევიკურ რევოლიუციის ბრძოლის ტაქტიკა სხვაგვარ სახეში ჩამოყალიბდა. ანტანტის ხელოვნური მთლიანობის დაშლაც დაიწყო.

ამ რიგად, რუსეთის საკითხმა სალდერეღელი აუშალა „დიდ მპყრობელთა“ ერთობას. საფრანგეთის,—ოდესმე სოციალისტური იდეალების და რევოლიუციის ქვეყნის,—პოზიცია საბჭოთა რუსეთისადმი მეტად უხეში შეიქნა. ლოიდ ჯორჯს ცხენის დაღლილის როლში გამოსვლა დასჭირდა, რათა კონფერენცია არ დაშლილიყო უდროოდ.

მოკავშირეთა მემორანდუმი არსებითად რუსეთის რევოლიუციის მონაპოვართა ლიკვიდაციას მცრიდა. მთავარი მუხლი: ყოფილ მემამულეთა კერძო საკუთრების ცნობა,—ძირ-ბუდიანად ანგრევდა საბჭოთა ფედერაციის თანამედროვე სოციალ სტრუქტურას. ამიტომ შესაფერისი და მიზანშეწონილი იყო ჩიჩერინის კონტრ მემორანდუმი.

რა პრაქტიკულ შედეგებს მიაღწია ბურჟუაზიამ გენუის კონფერენციის მუშაობით? არაფერს. პირიქით, გენუამ უფრო გაამწვავა ანტანტის სოციალ-პოლიტიკური კრიზისი. გენუას დიპლომატიურ ბრძოლაში რუსეთმა გაიმარჯვა შედარებით სხვა სახელმწიფოებთან. ეს გამარჯვება ორ ფაქტში გამოიხატება: 1) ანტანტის სახელმწიფოებს შუა უთანხმოების ჩამოგდებაში, ე. ი. პოლიტიკურ კრიზისის შექმნაში და 2) რაპალოს აქტში, გერმანიასთან კავშირის შეკვრა, მასთან ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა—განმტკიცება დიდი პლიუსია რუსეთისათვის და მძლავრი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიურ-ფინანსიური რესურსების და რევოლიუციონური პოტენციალის შემდეგი განვითარების სფეროში.

დიახ, ანტანტას გენუამ არ მისცა არაფერი. გენუამ ვერ გახსნა გორდიის კვანძი და ვერ გამოიყვანა კაპიტალისტური ევროპა საბედისწერო ჭაობიდან. ამის ლოღიკური დასაბუთება არის ის გარემოება, რომ კონფერენციამ ვერ ამოსწურა დასმული საკითხები, ვერც ერთი ვერ გადაჭრა საბოლოოდ.

გ. მუშიშვილი.

## გენუას კონფერენციის გარშემო

კონფერენციის უკანასკნელი დღეები.

გენუა. 17 მაისი. იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელთაც მოიწვიეს კონფერენცია, შეიკრიბნენ დღეს თათბირზე, ფაქტას თავმჯდომარეობით, იმ საკითხის განსახილველად, არსებობს თუ არა უწყებულ პირობებში აუცილებლობა—დაუბრუნდეთ გადაწყვეტილებებით, რომელიც მიღებული იყო 10 მაისის სხდომაზე, სხვა და სხვა სახელმწიფოთა მიერ შემოტანილ წინადადებათა პირველი კომისიის ქვეკომისიისათვის გადაცემის შესახებ. ამ თათბირზე გამოირკვა, რომ არ არის სათანადო საბუთები იმისა, რომ განხილულ იქნას კონფერენციაზე აღმოსავლეთ გალიციისა და ლიტვის საკითხები, ვინაიდან განზრახულია ცალკეებითი ხელშეკრულების შეკვრა, რომლის ძალითაც სახელმწიფონი მოვალენი არიან უარი სთქვან ურთიერთ თავდასხმაზე, მით უმეტეს, რომ ეს ხელშეკრულება გულისხმობს სტატუსქვოს დაურღვევლობას. რაც შეეხება ვარშავის სანიტარულ კონფერენციას; თათბირი მივიდა იმ დასკვნამდის, რომ კონფერენციამ საერთოდ უნდა დაადასტუროს საერთაშორისო სანიტარული კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილებანი და წინადადება მისცეს სათანადო მთავრობათ მიიღონ ყველა მათგან დამოკიდებული ღონისძიებანი ამ დადგენილებათა ცხოვრებაში საჩქაროდ გასატარებლად.

უნგრეთისა და ბულგარეთის უმცირესობათა და ბულგარეთის ეგეის ზღვაში გასავლის მიცემის საკითხები გადაწყდა გადაეცეს განსახილველად ერთა ლიგას. ასეთივე დადგენილება იქნა მიღებული სტამბულინსკის ახალი ნოტის შესახებაც, რომელიც ეხებოდა დედეაგაჩის ნავთსადგურს. შემდეგ თათბირი შეუდგა იმ მემორანდუმის განხილვას, რომელიც ეხებოდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, და წითელი ჯვრის საზოგადოების ლიგის მიერ წამოყენებულ წინადადებათ ხალხთა საზოგადოებრივ უბედურებათაგან ურთიერთ დაზღვევის შესახებ. კამათის შემდეგ გადაწყვეტილ იქნა ეს საკითხი გადაეცეს ერთა ლიგისათვის დასასრულ განხილულ იქნა პროცესუალური ხასიათის ზოგიერთი საკითხები, რომელიც ეხება იმ ფორმებს რომელშიაც უნდა ჩამოყალიბდეს კონფერენციის საბოლოო დადგენილებანი.

### დროებით სამშვიდობო შეთანხმება

#### რუსეთი თანახმაა

გენუა. 13 მაისი, 17 მაის დილის 10 საათსა და 30 წუთზე, შანცერის თავმჯდომარეობით გაიმართა პირველი კომისიის ქვეკომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა მოესმინათ რუსეთის პასუხი იმ წინადადების შესახებ რომელიც მას წარუდგინეს დროებითი სამშვიდობო შეთანხმების შესახებ. ჩიჩერინმა, მცირეოდენი კრიტიკული შენიშვნების შემდეგ, რომელიც ეხებოდა გენუაში მიღებულ დამოკიდებულებას რუსეთისა საკითხისადმი. განაცხადა, რომ იგი იტოვებს უფლებას შეიტანოს ზოგიერთი შესწორებები განსახილველად წარმოდგენილ დროებითი სამშვიდობო შეთანხმების ტექსტში. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მიიღოს წინადადება რუსეთის საკითხის ექსპერტთა კომისიის მიერ განხილვისა. ჩიჩერინმა ამასთან განაცხადა, რომ რუსეთს არ შეუძლია დაეთანხმოს ექსპერტთა კომისიის გარეთ მოწვევას, ვინაიდან რუსეთს არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ჰოლანდიასთან. რუსეთის სახელით ჩიჩერინმა მოითხოვა მოეწვიათ ექსპერტთა კომისია სტოკჰოლმში ან რიგაში, ლონდონში ან რომში. შეეხო რა ჩიჩერინი დროებითი სამშვიდობო შეთანხმების საკითხს, რომლის ძალითაც სახელმწიფონი ვალდებულნი არიან უარი სთქვან ურთიერთ თავდასხმაზე, მან გამოსთქვა სურვილი მოაწეროს ხელი ასეთ შეთანხმებას იმ პირობით თუ „რუსეთის საბჭოთა მთავრობა“ გამოთქმაში ნაგულისხმევი იქნებოდა არა მარტო რუსეთის მთავრობა არამედ ყველა მისი მეზობელი რესპუბლიკებიც. შემდეგ ჩიჩერინმა სურვილი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებაში ნათლად ყოფილიყო აღნიშნული, რომ იგი ვრცელდება ირრეგულიარულ ორგანიზაციებზეც, ბანდებზე და სხვ. ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება არ იქნებოდა სრული.

#### რუსეთი არა ხმობს

გენუა 18 მაისი, ჩიჩერინის პასუხმა ცხოველი კამათი გამოიწვია. ლლოიდ-ჯორჯმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ძირითადი განსხვავება რუსეთში და სხვა სახელმწიფოებში არსებულ სისტემებს

შორის, იწვევს თვითეულ მხარეში აუ-
ცილებლობას თავისთვის და თავის პა-
სუხისმგებლობით განიხილოს შესაძლებ-
ლობა პრ ქტიკული გზების გამონახვისა
ამ ორთავე სისტემის მშვიდობიანი
გზით განხორციელებისა. რაც შეეხება
კომისიის მოწვევის ადგილს, ლლოიდ
ჯორჯი განსაკუთრებით იცავს ჰააგას,
რომელიც განსაკუთრებით ხელსაყრელია
ხსენებული საკითხის განსახილველად,
რადგან იგი თავისი მშვიდობიანი ატ-
მოსფერით ხელს შეუწყობს მუშაობის
ნაყოფიერად მსვლელობას. ინგლისის
პრემიერმა აღნიშნა, რომ უმრავლესობა
შეჩერდა ჰააგაზე და ამიტომ შესაძლებე-
ლია ზედმეტად მივიჩნიოთ უარი განცხა-
დებათ ამ ადგილზე.

თავის მხრივ შანცერმა სთხოვა რუ-
სეთის დელეგაციას ხელ-ახლავ განიხი-
ლა საკითხი, ვინაიდან შესაძლებელია
მან უფრო მოწინდრულად ჩასთვალოს
უარი სთქვას იმ შესწორებათა შემო-
ტანაზე, რომელიც მას განზრახული
აქვს, რამდენადაც მან პრინციპიალურად
თანხმობა განაცხადა იმ საკითხებზე,
რომელზედაც აქ მსჯელობა სწარმოებს.
ეს გარემოება მით უფრო სასურველია
იმ მიზნებისათვის, რომ სახელი არ გა-
უტეხოთ მიღწეულ შეთანხმებათ იმ კა-
მათით, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს
შემოტანილმა შესწორებებმა. მან სთხო-
ვა ჩიჩერინს დაკმაყოფილებულიყო სა-
ბოლო განცხადებით კომისიის სამუშაო
ადგილის დასახელების შესახებ. მიუხე-
დავად ამისა ჩიჩერინი გადაჭრით მოი-
თხოვდა თავის წინადადებათა მიღებას
და იცავდა რუსეთის თვალსაზრისს.

**დებულების განხილვა.**

**ბოდლო**, 18 მაისი. რუსეთის საკითხის
შესახებ არსებულმა კომისიამ თავის
სხდომაზე, ოთხშაბათს, პრინციპში ფორ-
მალურად მიიღო წინადადება გააგაში
ექსპერტთა კომისიაში თანამშრომლო-
ბისა. ჩიჩერინმა ვრცლად განმარტა თა-
ვისი მოსაზრებები მოლაპარაკების დე-
ტალების შესახებ. საბჭოთა მთავრობა
მოითხოვს ექსპერტების მუშაობისათვის
ისეთი ქალაქისა და სახელმწიფოს ამორ-
ჩევას, სადაც იმყოფება რუსეთის წარ-
მომადგენლობა.

## ამერიკის პოზიცია.

**სენსაცია ინგლისში.**

**ნაუენი**, 18 მაისი. შეერთებული შტა-
ტების უარმა გააგის ექსპერტთა კომი-
სიაში მონაწილეობის მიღების შესახებ
გამოიწვია ინგლისის პრესაში გაკვირ-
ვება და სენსაცია.

**ამერიკას არ სურს გააგა**

**ბერლინი**, 18 მაისი. პუანკარემ საფ-
რანგეთის ჟურნალისტებთან ბაასში გა-
ნაცხადა, რომ როგორც სჩანს ამერიკამ
სწორედ ვერ გაიგო მნიშვნელობა და
ხასიათი ჰააგის კომისიისა. ზარტულ მო-
ხსენებიდან სჩანს, რომ ჰააგაში მოწვე-
ული იქნებიან მხოლოდ ექსპერტები
რუსეთის საკითხის შესახებ. ჰააგის მუ-
შაობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა
ჩაითვალოს გენუის კონფერენციის გა-
გრძელებათ სხვა სახელითა და სახელ-
წოდებით. საფრანგეთს განზრახვა აქვს,
განაცხადა პუანკარემ, მონაწილეობა
მიიღო ჰააგის კომისიის მუშაობაში. და-
სასრულ პუანკარემ აღნიშნა, რომ მოკა-
ვშირეთ განზრახვა აქვსთ მიმართონ
ამერიკას ახალი წინადადებით მიიღოს
მონაწილეობა ჰააგის კომისიაში.

**კერძო საკუთრების პრინციპი**

**ბერლინი.** 18 მაისი. პუანკარე აცხა-
დებს, რომ საფრანგეთის ელჩმა ამერი-
კაში ჟერარმა, აცნობა მას რომ ამერიკა
აუცილებლად მოითხოვს რუსეთში კერძო
საკუთრების პრინციპის დაცვას.

**მოლაპარაკება ამერიკასთან**

**რომი.** 18 მაისი. სტეფანის სააგენტო
იტყობინება: ამერიკის ნოტა ჰააგაში
კომისიის მოწვევის შესახებ შეიცავს
ისეთ გამოთქმას, რომელიც შესაძლე-
ბელს ხდის მომავალში მოლაპარაკების
წარმოებას. იტალიის პრესა ძალიან
უკმაყოფილოა შეერთებული შტატების
უარით მონაწილეობა მიიღოს რუსეთის
საკითხის გადაწყვეტის ახალ ცდაში.
საფრანგეთის პრესა ეხება რა ამერიკის
უარის განცხადებას, ამტკიცებს, რომ
ამერიკას პოზიცია ძალიან სერიოზულ
გავლენას ახდენს ლლოიდ ჯორჯის
პრესტიჟზე. გაზეთი „უტრანსიჟანი"
იუწყება, რომ საფრანგეთსაც აქვს გან-
ზრახვა მიბაძოს შეერთებულ შტატების
მაგალითს.

**ინგლისი უკმაყოფილოა**

**რომი** 18 მაისი. ინგლისის პოლიტი-
კური წრეები უკმაყოფილებას გამოსთქ-
ვამენ გენუის კონფერენციის შედეგების
შესახებ.

**პოლონეთის პოზიცია**

**გენუა** 18 მაისი. სკირმუნტმა განაცხა-
და, რომ პოლონეთი მზად არის ხელი
მოაწეროს დროებითი სამშვიდობო შე-
თანხმებას იმ პირობით, თუ მისი ხელის
მოწერა ამ შეთანხმებაზე არ გამოიწვევს
არავითარ ცვლილებას იმ ვალდებულე-
ბებში, რომელიც მიიღეს თავის-თავზე
რიგის რუსეთ-პოლონეთის უკრაინის ხე-
ლშეკრულების ხელისმომწერ სახელმწი-
ფოებმა.

**ვირტის დაბრუნება**

**გენუა** 18 მაისი. 18 მაის დილით გე-
ნუაში ჩამოვიდა გერმანიის დელეგაციის
თავმჯდომარე კანცლერი ვირტი, რომე-
ლმაც ჩამოსვლის დღეს ინახულა ფაქტა
და შანცერი.

# უცხოეთი

**ჩიჩერინის ნოტის შედეგები.**

**სანტა-მარგარიტა.** ჩიჩერინის უკანას-
კნელმა ნოტამ შესახებ ქართველი მენ-
შევიკების გამოლაშქრებისა უდიდესი
შთაბეჭდილება მოახდინა; განსაკუთრე-
ბით იმ ნაწილმა, სადაც ლაპარაკია
ეროვნულ უმცირესობის უფლების გა-
თელვაზე.

სერბიის დელეგაცია უკვე გამოეხმა-
ურა ამ ნოტას, რომელმაც გამოუგზავნა
ნოტა ჩიჩერინს. სერბები აცხადებენ,
რომ არავითარი მთაშიგერის, მაკედო-
ნიის და ხორვატიის ხალხი არ არსე-
ბობს და რომ მთაწმინდის შემოერთება
თითქოს მომხდარიყოს პოდგორიცის
ხელშეკრულების საფუძველზე.
რუსეთის გამოსვლამ მცირე ხალხთა და-
საცველად, როგორც ამას გვიჩვენებს
ბალკანეთის გამოხმაურებამ, მოახდინა
ყველგან საამური შთაბეჭდილება.

ქართველი მენშევიკები ხელ ახლა
გზავნიან თავიანთ ქართველ პატრიარქ
ამბროსის წერილს, რომელიც სასულიე-
რო მწერლობისა და საქართველოს ძვე-
ლი ისტორიის მიხედვით ამტკიცებს
რომ მენშევიკები და მენშევიკური რე-
ჟიმი, გათვალისწინებულია თვით საღმ-
თოს წერილებშიო.

**ამერიკის პრესა იუზის წერილის შესახებ.**

**ვაშინგტონი.** 2 მაისი. ამერიკელი
პრესა მთელი ამ ხნის განმავლობაში,
რაც გენუის კონფერენცია არსებობს,
პირველად ეხება საბჭოთა რუსეთის შე-
ერთებულ შტატების მიერ ცნობის სა-
კითხს. „ნიუიორკ ჟურნალშივე გამოქვე-
ყნებულია ძლიერ ფრთხილ გამოთქმით
იუზის წერილი, რომელშიაც ნათქვამია,
რომ სანამ საბჭოთა მთავრობა არ
შეასრულებს მოთხოვნილებას, ჩამოყა-
ლიბებულს 1 მარტს 1921 წ. შეერთე-
ბულ შტატების მიერ, მანამ შეუძლებე-
ლია ლაპარაკი რუსეთთან სავაჭრო და-
მოკიდებულების დაჭერაზე და მის ცნო-
ბაზე შეერთებულ შტატების მიერ. გა-
ზეთი იმ დასკვნაზე მიდის, რომ მიუხე-
დავად გარდინგის მიდრეკილებისა რუ-
სეთის ცნობისადმი, შეერთებული შტა-
ტების პოზიცია უფრო ახლოა სდგას სა-
ფრანგეთის დელეგაციის პოზიციასთან
ვიდრე ლოიდ-ჯორჯის პოზიციასთან.
რომ მიაღწიოს შეერთებულ შტატების
მხრით ცნობას, საბჭოთა მთავრობამ
თავის პრინციპებისგან უფრო მეტად
უნდა დაიხიოს უკან, ვინემ დღემდე.
გაზეთი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ გა-
ნცხადებას იუზისას შეეძლება გავლენა
მოახდინოს ჯენუას მთელ მოლაპარაკე-
ბის სვლაზე, ვინაიდან რუსეთისათვის
კრედიტის მიცემა უმთავრესად დამოკი-
დებულია ჩრდილოეთ ამერიკაზე.

„ფილადელფია პუბლიკ ლედჟერი"
სწერს: „იმ დროს, როცა გენუაში საბ-
ჭოთა მთავრობა ვაჭრობს კრედიტს პი-
რობებზე და ცნობაზე, იუზი დღეს ამ-
ტკიცებს, რომ შეერთებული შტატები
ვაჭრობას არ დაიწყებენ". რომ საბჭოთი
ექნეს რუსეთს იმედი იქონიოს შეერთე-
ბულ შტატებთან ვაჭრობის განახლება-
ზე და თავის ცნობაზე, განაცხადა იუ-
ზმა საბჭოთა მთავრობამ უნდა კავშირი
გასწყვიტოს ანტი კაპიტალისტურ სის-
ტემასთან.

იუზის პასუხი,—სწერს გაზეთი ზრდი-
ლობიანია, მაგრამ მტკიცე და არა ორ
პირი და ამტკიცებს, რომ შეერთებული
შტატების მიერ დაჭერილი პოზიცია
1921 წ. მარტში მცირედაც არ შეც-
ვლილა.

**ამერიკის პოზიცია** 4 მაისი. ნიუიორ-
კის კორესპონდენტი „დეილი ნიუსში"
კომენტარიას უკეთებს რუსეთის საკით-
ხზე იუზის განცხადებას და აღნიშნავს,
რომ ამერიკის მიერ რუსეთის ცნობისა-
თვის არის ოთხი ძირითადი პირობები:
1) პირადი უშიშროება უცხოელები-
სა 2) უცხოელების ქონების გარანტია
3) ზომების მიღება, რომ უზრუნველყო-
ფილი იქმნას ხელშეკრულების ძალა. 4)
შრომის თავისუფლება. კორესპონდენტი
სწერს: პირველი და მეორე პირობები
სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიცია-
ლური ცნობით უკვე უზრუნველყოფი-
ლია. დარჩა მხოლოთ 3 და 4 მუხლი
განსახილველად.

**მაკდონალდის მდგომარეობა.**

**ლონდონი** 1 მაისი „ჟურნალდეიბას"
ლონდონის კორესპონდენტის ცნობით
ნოტინგში შემდგარ დამოუკიდებელ მუ-
შათა პარტიის კონგრესზე გაიმარჯვა
მემარცხენე ფრთამ რამზეი მაკდონალ-
დის მომხრეებზე.—კონგრესმა დაადგინა
გამოუცხადოს პარტიის სახელით თავისი
სიმპატია მოსკოვის მთავრობას, მის ან-
ტი იმპერიალისტური პოლიტიკისა-
თვის.

მაკდონალდი ამტკიცებდა რა, რომ
ამ ჟამად საბჭოთა მთავრობა აწარმოებს
აგრესიულ პოლიტიკას განაპირა ხალხის
მიმართ, ენერგიულ წინააღმდეგობას
უწევდა ამ რეზოლიუციის მიღებას.
მიუხედავად მაკდონალდის მიერ წა-
მოყენებულ ყველა საბუთებისა თანაგ-
რძნობის რეზოლიუცია საბჭოთა მთავ-
რობისადმი მიღებული იქმნა 53 ხმით
წინაღმდეგ 50 ისა.

**მთავრობის კრიზისი ინგლისში**

**ბერლინი** 18 მაისი. ლონდონში მოუ-
ლოდნელად წარმოიშვა მთავრობის კრი-
ზისი. თემთა პალატის [illegible]
სახელდობრ, 150 ხმით, წინააღმდ
148 სა, უარყო მთავრობის მიერ წ
დგენილი [illegible]
მთავრობა [illegible]

**ნაუენი** 18 მაისი. [illegible]
ძალიან დიდის ინტერესით იხილავს მ
ვრობის მოულოდნელი დამარცხება
ფიქრობენ, რომ მთავრობის დამარ
მის უახლოესი შედეგი იქნება მომავ
შემოდგომისათვის ახალი არჩევნებ
დანიშვნა.

**ბოდლო** 18 მაისი. ზოგიერთი ინგლ
სური გაზეთები აღნიშნავენ, რომ
მთა პალატაში მთავრობის დამარცხ
მომასწავებელია, ახლო მომავალში პ
ლიტიკურ ცვლილებათა შესაძლებლ
ბისა.

**რუსეთის დელეგაციის შეხვედრა.**

**ნაუენი** 18 მაისი. გენუიდან დაბრუ-
ნებულ რუსეთის დელეგაციას დიდ
ამლდაცებით შეეგებნენ რუსეთის სა
ღვარზე. იოფფემ განაცხადა, რომ
ნუის კონფერენცია გადასწყვეტდა
ნანსიური წონასწორობის აღდგენის ს
კითხს, თუ რუსეთი დასთანხმდებო
გადაეხადა თავისი ვალები. მაგრამ რ
სეთის მუშებმა და გლეხებმა იმიტ
კი არ მოახდინეს რევოლიუცია, რო
შემდგომ რუსეთი გადაეცათ საერთაშ
რისო მანკებისათვის. რუსეთი უარს
ბობს ხელი შეუწყოს მსოფლიოს აღდგ
ნას, თუ მას თვითონ უზრუნველყოფ
ლი არ ექნება საკუთარი ეკონომიურ
აღორძინება.

**აღმოსავლეთ სახელმწიფოთა კონფე-
რენცია.**

**ნაუენი** 18 მაისი. გენუაში გაიმარ
აღმოსავლეთ სახელმწიფოთა დელეგ
ტების კონფერენცია. გადასწყდა გამ
ქვეყნებულ იქნეს მოხსენება ახლო
მოსავლეთის პოლიტიკურ მდგომარე
ბისა, რომელიც აგრეთვე იქნება გამო-
ქვეყნებული.

**საერთაშორისო სოციალისტების კონ-
გრესი.**

**ბერლინი** 18 მაისი. საერთაშორის
სოციალისტურ პარტიათა კომიტ
იტყობინება, რომ ბერლინის კონფერ
ნციაზე არჩეული კომისია უნდა შეიკრ
ბოს ბერლინში 23 მაისს, რათა შ
ზადოს საკითხი საერთაშორისო
ციალისტური კონფერენციის მოწვ
ვისა.

**ამერიკის ტარიფები.**

**ბერლინი** 18 მაისი. გაზეთ „ჩიკაგ
ტრიბუნი"ს ცნობით, კონგრესისათვ

# პოლიტიკა ირაკლი მეორისა

(გაგრძელება)

ირაკლის თვისი აგენტების საშუალე-
ბით კარგათ ექნებოდა შეტყობილი და
შეგნებული, რომ რუსეთის ხალხი ხამო-
მავალი ხალხი იყო და ასეთ ხალხთან
კავშირი საიმედო და სასარგებლო იქნე-
ბოდა საქართველოსათვის, ამ რუსეთთან
პირიც კი ლხინი იქნებოდა. ყიზილბაშ-
თა შედარებით მართლაც რუსეთი გა-
ნათლებული იყო, თვალები ევროპისკენ
ქონდა მიპყრობილი, სწავლა-განათლება
და მეცნიერება ევროპიდან გადმოქონ-
და. ამასთანავე რუსეთში თანდათან ფეხს
იკიდებდა და ვრცელდებოდა საზოგა-
დოებრივისა და სახელმწიფოებრივი წეს-
წყობილების სურვილი.

მკითხველი თუ გაეცნობა იმ კამათსა
და მოსაზრებათ, რომელთ ადგილი ქონ-
და სახელმწიფო საბჭოში, სადაც წყდე-
ბოდა საკითხი საქართველოს შეერთების
შესახებ, ცხადად და ნათლად დაინახავს,
რომ იმ ჟამად ცხოვრების სინამდვილე-
ში უკვე ორი რუსეთი იყო: რუსეთი—
ძალმომრეობისა, პატარა ერების შეღუ-
დვის მოსურნე და თვით რუსეთში კი
მოქალაქეობრივი უფლების უარის მყო-
ფელი და ისეთი რუსეთი, რომელიც პა-
ტარა ერების უფლებათ პატივსა სცემდა
და გაბედულად მოითხოვდა, რომ მარ-
თებლობა შეჩერებულ იყო, ქვეყნების
დასაპყრობათა და შემოსაერთებლად
ომები აღარ ეწარმოებინა და აღარ ედ-
ვარა სისხლი წყნარ მოქალაქეთა. ეს მე-
ორე რუსეთი მოითხოვდა, რომ რუსე-
თის მთავრობას უკუ ეგდო ეკატერინეს
და იმის თანამშრომლების სიზმრები იმის
შესახებ, რომ რუსეთს უნდა დაეპყრო
მთელი სპარსეთი. სპარსეთით შეკრულ
იყო სპარსეთის ყურეში და ინდოეთის
ოკეანეში და ამით დაემუქრებოდა ინგ-
ლისს, ხოლო სათათრეთით ხმელთაშუა
ზღვაში გაბატონებულიყო და ამ ზღვაზე
დასავლეთი ევროპის გავლენა მოესპო.
ამ ახალი რუსეთის წარმომადგენელი
იყვნენ სახელმწიფო საბჭოში: გრაფები
ვორონცოვი და კოჩუბეი, ნოვოსილცოვი
ჩარტორიჟსკი და სხ. ამათ მოსაზრებასა
და მიდრეკილებას იზიარებდა და მხარს
უჭერდა შეგნებული ინტელიგენციის დი-
დი ნაწილი, რომლის მისწრაფებათა გამო-
მჟღავნებელი იყვნენ: შჩერბატოვი, რადი-
შჩევი ნოვიკოვი, და სხ. ამ მისწრაფების,
განხორციელება თავს იდვა და მსხვერპ-
ლადაც კი შეეწირა დეკაბრისტთა მოძ-
რაობა. ისე ძლიერი იყო ეს მეორე რუ-
სეთი, რომ იგი პირველ რუსეთს შეებრ-
ძოლა. შეეცადა ხელთ ჩაეგდო ძალა-
უფლება და მოინდომა ეს ძალა უფლე-
ბა გამოეტაცებია უღ[illegible]რსი თვითმპყრო-
ბელებისა და გაიძვერა ბიუროკრატიი-
სათვის. მაგრამ იმ ხანათ გაიმარჯვა
თვითმპყრობელობამ და გაიძვერა ბიუ-
როკრატიამ. ამიტომ ეს მართებლობა
წელში გასწორდა და მეტი გაბედულე-
ბითა და სიხარბით აყვა ეკატერინე მე-
ორის ბიძგებსა და სიზმრების განძლ-
დებას. აქ ამას მხარი დაუჭირა ინტე-
ლიგენციის ნაძირალებმა და ამ მართებ-
ლობის აპოლოგეტი შეიქნა ეს უკანას-
კნელი. ასეთი პოლიტიკის წარმოების
დროს კი ამ პირველმა რუსეთმა ბევრჯელ
მიიღო სამედისწერო გაფრთხილება, მაგ-
რამ გონს მაინც ვერ მოვიდა, ერთი მა-
შინ, როცა ამ რუსეთმა კავკასიონის
ქედი გადმოლახა და უსისხლოთ და უო-
არალოთ საქართველო ფეხით გაჰქელი-
ტა და ამით წათამამებული წინ მიი-
წევდა, მაგრამ ამ დროს მოუსწრო სა-
ერთაშორისო ძალთა განწყობილებამ და
ეს რუსეთი მცირე ნაკადის არაკ[illegible]ის ნა-
პირებზე შეაჩერა და აქ მოჯადოებული-
ვით გაყინა; მეორეთ ევროპიელებმა ყი-
რიმის ომის დროს გადაჭრით უთხრეს:
შესდეგ, არც ერთი ნაბიჯი წინ;
მესამეჯერ იაპონიის ომის დროს დაუ-
დასტურეს: შენს კ[illegible]ში დარჩიე,
თორემ ცხვირს წაიმტვრევ და
მთელ პირისახეს დაისახიჩრებო. მაგრამ
ეს წინდაწინი გაფრთხილება ვერ შეიგ-
ნო ვერც რუსეთის ბიუროკრატმა მართებ-
ლობამ და ვერც პოლიტიკურმა პარტი-
ებმა, სანამ დღევანდელი საშინელი კატა-
სტროფა არ განიცადეს. და ეს მოხდა
მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი რუსე-
თის ბიუროკრატი მართებლობა სისტემატი-
ურათა და ყაჩაღური ცინიზმით სპობდა,
ციხეში ალპობდა მეორე რუსეთის წარ-
მომადგენლებს დეკაბრისტებიდან დაწ-
ყებული 1917 წ. თებერვლის რევოლიუ-
ციამდე. საშინელი მძვინვარებით რუსე-
თის მთავრობამ მოსპო მოქმედება და
ღვაწლი მოწინააღმდეგეთა, მხოლოდ
დამხმარეთ გაიჩინა ინტელიგენციის სკუ-
როპატი კატკოვები, სუვორინები, პრო-
ტოპოპოვები და მილიუკოვები. ამ პო-
ლიტიკამ ისე გარყვნა რუსეთის ინტე-
ლიგენციის პოლიტიკური აზროვნება,
რომ თვით სოციალ-დემოკრატიაც კი
პლეხანოვის პირით გადაჭრით მოითხო-
ვდა, რომ მას მემკვიდრეობით უნდა გა-
დასცემოდა მთელი რუსეთის ტერიტო-
რია უკლებლივ, თვით რევოლიუციის
გაჩაღების დროს კი ბევრი კერენსკი და
კაკი წერეთელი მუშტებითა და ყუმბა-
რებით ემუქრებოდნენ თავისუფლების
მოსურნე ერებს. არც ერთი კი, არც
პლეხანოვი, არც კერენსკი და არც კაკი
წერეთელი არ დაგიდევდნენ განეკით-
ხათ, თუ რა საშინელ უსამართლობას
ქონდა ადგილი ამ ტერიტორიაზე მოქ-
ცეულ მცირე ერების შესახებ. ერთი
რუსეთის პოლიტიკურმა ყაჩაღობამ და
პოლიტიკურმა ცინიზმა, ხოლო მეორე
რუსეთის პოლიტიკურმა სიბეცემ დღეს
კატასტროფამდი მიიყვანა, დაღმართზე
საშინელი სისწრაფით დააქანა. მხოლოდ
აქ გამოფხიზლდა რუსეთი და იგი დღეს
იწყებს შეგნებას სახელმწიფოებრივი ფე-
დერალიზმის მიუცილებლობის. თუ ამ ნი-
ადაგზე იგი გულწრფელად დადგინება,
მაშინ გვრწამდეს, რომ რუსეთის ხალხს
სახელი და დიდება მოეფინება, ხოლო
მცირე ერებს, ამ ფედერაციაში შეგნე-
ბით შესულებს, პატივი და კეთილ დღე-
ობა მიენიჭებათ.

ზოგი ბეცი პოლიტიკანი ირაკლის
უკიჟინებს, ორიენტაცია რაში შეიცვალეო,
რატომ სათათრეთსა და სპარსეთთან
კეთილ-მეზობლურ განწყობილებაში არ
იყავიო. მგონია, რომ მკითხველი, გაი-
თვალისწინებს რა ზევით აღნიშნულ
ფაქტებსა და მოსაზრებათ, ამ საყვე-
დურს სიბრიყვეთა და სიბეცეთ მიიჩ-
ნევს, მართლაც და, განა სიბრიყვე და
რეგვენობა არ არის ის განცხადება,
რომ ირაკლის მოსთხოვო სათათრეთთან
კეთილ - მეზობლობის განწყობილება?
ირაკლი და მთელი საქართველოს მა-
შინდელი მოღვაწე და მამულიშვილი
ცხადათ და თვალ-ყურით ხედავდა, რომ
მთელი საშინელება ჩვენის შინაური
ცხოვრებისა გამოწვეული იყო სათათრე-
თის იმ გაიძვერა პოლიტიკით, რომ სა-
თათრეთი დღე-მუდამ და მარად ჟამს
უსირცხვილოთ და მოურიდებლათ ხე-
ლებს აფათურებდა ჩვენს ცხოვრებაში,
ურჩობასა და განდგომილობას ზრდიდა
და ასაზრდოებდა, მთელი საქართველო
იმის მეოხებით და ხელის შეწყობით
გარდაქცეული იყო ერთ დიდ სავაჭრო
ბაზრათ, რომელ ბაზარზე უბრალო პი-
რუტყვივით იყიდებოდა ქართველი ახალ-
გაზრდობა ქალი და ვაჟი. ახალ-ქალა, ყმა-
ლეები, ფოთი და ქობულეთი ავსებული
იყო გასაყიდი ტყვეებითა და ესენი ბარ-
კასებითა და ბარჟებით გაჰყავდათ ტრა-
პეზუნდსა და სტამბოლში. ამ გაყიდული
ახალგაზრდობის რაოდენობა ისე მრა-
ვალ-რიცხოვანი იყო, რომ სათათრეთმა
შესძლო, ამათგან შეედგინა მთელი
განცალკევებული არმია იანიჩარებისა,
ავსებული იყო სულთნებისა და
სხვა ხელისუფალთა და ბეგების არამ-
ხანები. ეს უკანასკნელი მოვლენა კი
ისე ხშირი იყო და მრავალრიცხოვანი,
რომ ამან გარდაქმნა მახინჯი და ულა-
მაზო ტიპი თათრისა; გაკეთილშობილდა
ეს ტიპი და ამ ტიპს მისცა ლამაზი სა-
ხის ნაკვთები. ეს ისე აშკარა იყო, რომ
თვით დარვინიც კი, რომელიც გადა-
ჭარბებულ სიფრთხილეს იჩენდა ყოველი
მასალის მოხმარების დროს, აღნიშნავს
ამას თავისი თხზულების—ადამიანის
წარმოშობა—397 გვ. ასეთი მოვლენის
მნახველს ირაკლის უბედავენ უთხრან,
რომ ასეთ მეზობელთან უნდა კავშირი
კეთილ მეზობლობისა დაეჭირაო. ეს
მოთხოვნა არა თუ სიბეცე, ცინიზმიც
კია. სპარსეთის შესახებ ლაპარაკი არც
კი ღირს. რადგან სპარსეთი მაშინ არა-
ვითარ ძალას პოლიტიკურს არ წარ-
მოადგენდა. უძლურთან კავშირი კი პო-
ლიტიკაში სისუსტეა. თუ სპარსეთი არ
მოძლიერდებოდა,—როდის იქნებოდა კი
ეს, ამას, აბა, ვინ იტყოდა.—მაშინ
სპარსეთი საქართველოს წინააღმდეგ
იმავე პოლიტიკას აწარმოებდა, რა პო-
ლიტიკასაც იგი ახორციელებდა რამ-
დენიმე საუკუნის განმავლობაში. ეს პო-
ლიტიკა კი იყო გაიძვერა, დაუნდობე-
ლი და ქართველების განმანადგურებე-
ლი და გამრყვნელი. ასეთი პოლიტიკის
მწარმოებელთან კავშირი და კეთილ
მეზობლობა ყოვლად მიუღებელი
აუტანელიც იყო. ცხადი და უეჭვე
რომ, იმ პირობებში და იმ სოციალურ
პოლიტიკურ დამოკიდებულებაში, რო
მელსაც ადგილი ქონდა მეთვრამეტე
საუკუნის მეორე ნახევარში, საქართვე
ლოსთვის, ერთად ერთი მისაღები ორი
ენტაცია იყო რუსეთის ორიენტა-
ცია. სხვაგვარი ორიენტაცია საზი
ნო იქნებოდა საქართველოსთვის, რად
გან სათათრეთიც და სპარსეთიც საქა
თველოს გარდაგვარებდა, მცირე აზი
სა და ირანში გადაასახლებდა, თვი
ს ქართველობის გაძარცვავდა და გადაჯ
ვებდა. ეს ყოველი კი ქართველი ერი
კვალს წაშლიდა ისტორიაში და პირი
სადან მიწისა აღგვიდა მას. ამის ცხად
დამამტკიცებელი ფაქტი იყო ის, თ
როგორ იქცეოდა სათათრეთი ახალ-ც
ხისა და ახალ-ქალაქის, ქობულეთისა
აჭარა ჭანეთის ქართველების შესახებ
ამავე ადასტურებდა სპარსეთის მთა
რობის საქციელი იმ ქართველების შე
სახებ, რომელნიც შაჰაბაზმა ისპაჰანში
ფერეიდანში გადაასახლა. ამას ყოველ
ვეს ირაკლი თვალით ხედავდა, გული
გრძნობდა და მთელი არსებით განი
ცდიდა ამ ფაქტების საშინელ შედეგებ
ამიტომ ეს გზა სპარსეთთანა და სათა
რეთთან შერიგებისა, შეთანხმებისა
კეთილ-მეზობლობისა მან ცნობიერა
და სრული შეგნებით დაჰგმო, დაადგ
და აირჩია რუსეთის ორიენტაცია. დღ
ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ჩვენებურ
სოციალ-დემოკრატიამ ამ უკანასკნელ
სამი წლის განმავლობაში, ორიენტაცი
რამდენჯერმე შესცვალა, მაგრამ არ
ერთხელ სათათრეთის ორიენტაცია
მიუღია. იგი პირველათ რუსეთის ორი-
ენტაციისა იყო, მერმე გერმანიის
როცა ეს უკანასკნელი ძლევა მოსი
იყო, ბოლოს კი ანტანტის ორიენტაცი
მიიღო და ამ ნიადაგზე შეითვისა ლ
ალობა და სერვილიზმი. ბოლოს მორ
ხვდა ცალი თვალი ისევ რუსეთისაკ
აქვს მიშტერებული და მიცემულ
თუ ეს ქნა სოციალ დემოკრატიამ, რ
მელიც თავის თავს დემოკრატიის წა
მომადგენლათ აცხადებს, რაღა და
ძრახისია, რომ ირაკლიმ მეთვრამეტ

განსახილველად წარდგენილი კანონ-პროექტი ტარიფების შესახებ, ალბად გადადებული იქნება, ვინაიდან კონგრესი არ იქნება თანახმა იმუშაოს მთელი ზაფხულის განმავლობაში.

**უნდათ აღადგინონ წონასწორობა.**

**ლონდონი 18 მაისი.** ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ზღვაზე სამხედრო წონასწორობა, რომელიც დაწესებული იყო ვაშინგტონში, დარღვეულ იქნა იაპონიის მიერ, რომელმაც ააშენა ახალი ზედრედნოუტი „მოცუხიტო“. ამ წონასწორობის აღსადგენად, შეერთებული შტატები იძულებულნი არიან დაამზადონ ორი ახალი სამხედრო გემი თანამედროვე ტიპისა, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა ააშენოს ორი ახალი სამხედრო გემი.

**რევოლუცია ჩინეთში.**

**ბერლინი.** მაისის 18 ს, პეკინის მთავრობა ჩამოგდებულია. პეკინიდან მიღებული ცნობების თანახმად, იაპონია ძლიერ შეშფოთებულია მანჯურიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

**მიდრეკილება კომუნიზმისაკენ.**

**ბერლინი.** ფრანკფურტი მაინზედან მიღებულ ცნობების მიხედვით, საშუალო კლასების საერთო გაღარიბებამ ძალიან უარყოფითი გავლენა მოახდინა სამრეწველო ცენტრების მდგომარეობაზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ გერმანიაში მუშაობს 35 ათასამდე მუშა, რომელთაც მიდრეკილება აქვთ კომუნიზმისაკენ.

**გერმანიის პროტესტი.**

**ნაუენი 17 მაისი.** რაინლანდის სოციალ-დემოკრატებმა კელნში გამართეს კონფერენცია, სადაც მათ პროტესტი განაცხადეს საფრანგეთის იმპერიალისტების იმ ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია გერმანიიდან ან პრუსიიდან რაინლანდიის გამოყოფისაკენ.

**ლონდონი.** 17 მაისი, გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ამ უახლოეს ხანაში გამოცხადდება რაინის ავტონომიური რესპუბლიკის დაარსების აქტი.

**რუსეთის ცნობის გარშემო**

**პარიზი.** 17 მაისი, იმ ცნობების გამო, რომ ერთა ლიგას განზრახვა აქვს განიხილოს საკითხი რუსეთისა და გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ, ჩემბერლენმა თემთა პალატაში გააკეთა განცხადება, რომ ერთა ლიგის მომავალი სხდომის წესრიგში არ არის დასმული საკითხი რუსეთისა და გერმანიის მიღების შესახებ.

**საკონტრიბუციო პრობლემა.**

**ნაუენი.** 18 მაისი. ინგლისელი ბანკირები ძლიერ ოპტიმისტურად შეჰყურებენ მომავალს, რადგანაც იმედოვნებენ, რომ მორგანი მოახერხებს დაარწმუნოს მოკავშირენი საკონტრიბუციო პრობლემის გადასაწყვეტში და ამ კონტრიბუციის სათანადო რაოდენობის დაწესებაში.

**გერმანია პოლონეთის შეთანხმების შესახებ.**

**ბერლინში.** 18 მაისი. ერთა ლიგის საბჭომ განიხილა გერმანია-პოლონეთის შორის დადებული შეთანხმება ზემო სილეზიის შესახებ. ერთა ლიგის საბჭომ აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებით სათანადოთ არის უზრუნველყოფილი უმცირესობათა უფლებები.

**კომუნისტების პროტესტი.**

**ნაუენი 18 მაისი.** პრუსიის ლანდტაგმა მოიწონა კომუნისტებისა და რადიკალ-სოციალისტების წინადადება იტალიის ტერორისტის ბოდრინის გადასახლების შესახებ პროტესტის განცხადებისა.

**რ ე ი ნ ზ ე.**

**ლონდონი 18 მაისი.** ელჩების კონფერენციამ საჭიროდ სცნო, რომ გერმანიამ უნდა შეაჩეროს მის მიერ დაწყებული მუშაობა რაინლანდში რკინის გზის გაყვანის შესახებ და დაამყაროს ოკუპაციის თანამშრომლობის მოძრაობა ზოგიერთ რკინის გზებზე.

**საფრანგეთი უკან იხევს.**

**პარიზი,** 18 მაისი. გაზეთი „ტანი“ ეხება რა საფრანგეთის ჰააგის კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ, აღნიშნავს, რომ მანამდის, სანამ საფრანგეთი ფიქრობდა, რომ ჰააგის კომისიის მუშაობას ექნებოდა მხოლოდ ტექნიკური ხასიათი, ბოლშევიკებთან კონტაქტის გარეშე, იგი მოითხოვდა ამერიკას მიეღო მონაწილეობა ჰააგის კომისიის მუშაობაში. ახლა კი, როდესაც გამოირკვა, რომ ჰააგის მოლაპარაკებას უმთავრესად პოლიტიკური ხასიათი ექნება და ფაქტიურად იგი გენუის მოლაპარაკების გაგრძელებას გამოხატავს, საფრანგეთი სავსებით იწონებს ამერიკის პოზიციას.

**ლონდონი,** 18 მაისი. გაზეთი „ტანი“ იტყობინება: თეთრი სახლიდან გამომდინარე ცნობების მიხედვით, უკანასკნელი ნოტა შეერთებული შტატებისა ჰააგის შესახებ, მაინც შეიცავს შესაძლებლობას მოლაპარაკების განახლებისა, თუ რასაკვირველია, ზოგიერთი პირობები აუცილებლად იქნება დაცული.

**უნაწილებენ მანდატს**

**პარიზი,** 18 მაისი. ბალფურმა შეიტანა ერთა ლიგაში, განსაკუთრებით ინგლისის მანდატი პალესტინაზე. მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატები სავსებით ეთანხმება ამ საკითხში ინგლისს. ბალფურმა სთხოვა ერთა ლიგის საბჭოს განიხილოს ეს საკითხი თვენახევრის ვადის განმავლობაში. საფრანგეთის სახელით ლორდ ბურჟუამ განაცხადა, რომ იგი სავსებით ეთანხმება დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს. პალესტინის საკითხი განიხილება 15 ივლისამდე.

**ლონდონი** 18 მაისი, ერთა ლიგის საბჭომ, ლიტვის წარმომადგენლის პროტესტის გარეშე, დაადგინა გაგზავნოს ლიტვაში კომისია, რათა ადგილობრივ იქნეს გამორკვეული წინასწარი ადმინისტრაციული საზღვარი ლიტვისა და პოლონეთის შორის.

**ძალიან დიდი ერთგულება**

**ლონდონი.** 19 მაისი, ერთა ლიგის პოლონეთის დელეგატმა პროფესორ ასკენაზიმ, წარუდგინა ლიგის მდივანს რუმონდს მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთის აღდგენის საქმეში პოლონეთი ითამაშებს ძალიან მნიშვნელოვან როლს, ვინაიდგან პოლონეთი მეზობელია 1200 კილომეტრის სიგრძეზე. გარდა ამისა, პოლონელები ყველაზე უკეთ იცნობენ რუსეთის ხალხის ხასიათს და ამიტომ მას ყველაზე უკეთესად შეუძლიანთ შეასრულონ თავისი მისია რუსეთის აღდგენის საქმეში.

**მუშათა გამარჯვება**

**ბერლინი.** ამერიკულ გაზეთების ცნობით, შეკერილი ტანსაცმლის დამამზადებელ მუშათა გაფიცვა, რომელიც გრძელდებოდა 10 კვირის განმავლობაში, დამთავრდა მუშათა გამარჯვებით. ამ მუშათა პროფესიონალურ კავშირებში, უმთავრესად თავმოყრილია რუსეთიდან წასული ემიგრანტები და მის შემადგენლობაში შედის 70.000-მდე მუშა. გაფიცვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მწარმოებლებმა მოინდომეს გაეუქმებინათ მუშათა მონოპოლიური კავშირის უფლებების და სამუშაო ხელ-ფასის სფეროში. ეს გაფიცვა დაუჯდა პროფკავშირს ერთი მილიონი დოლარი, ხოლო მწარმოებლებს კი 5 მილიონი დოლარი. ამერიკულ მუშებმა დიდის ზეიმით გადიხადეს ეს გამარჯვება და აღნიშნეს იგი მთელი რიგი მიტინგების გამართვით. ამ მიტინგებზე აღნიშნული იყო, რომ ეს უკანასკნელი გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკის მუშათა ყველა გამოსვლები მარცხით თავდებოდა ხოლმე. ამ შემთხვევაში მუშებმა—რუსეთის ემიგრანტებმა, აჩვენეს ამერიკის მუშებს მაგალითი მოთმინებისა, და თავდადებულობისა და დარაზმულობისა.

## ახალი ამბები

— **საბურთალო.** ტფილისის აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმმა ამხ. ლადო დუმბაძის მეთაურობით და სპეციალისტების კომისიამ დაათვალიერა საბურთალოს ამოსაშრობად წარმოებული მუშაობა. ყველა ამოშრობილი ადგილები სივრცით 300 დესეტინამდეა. ეს მოედანი ქალაქის აღ. კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასცა კომუნალურ მეურნეობის ქვე განყოფილებას, რომელზედაც მიწის განყოფილებას აზრათ აქვს მოედნის ერთი ნაწილი გადასცეს ბოსტნისათვის და მეორე ნაწილი თივის სათესად.

— **ვერის პარკი.** ქალაქის კომუნალურ მეურნეობის მიწის განყოფილებამ გადასცა ვერის პარკი გიმნაზიის საზოგადოებას „შევარდენს“, რომელმაც თავს იდვა მიწის განყოფილების კონტროლის ქვეშ თვალყური ადევნოს პარკს და დაიცვას ნამყენები. ამასთანავე ფიქრობს პარკის რაიონში მტკვარზე მოაწყოს თავის საჭიროებისათვის საბანაო და ამ საქმისათვის ისარგებლოს არსებული აუზით.

— **ტფილისის ბირჟა.** უცხო ვალიუტის კურსი მაისის 17-ს (ათას-მანეთობით):

| | |
|---|---|
| ოსმალური ლირა ოქრო | 850 |
| " ლირა ბანკნოტი | 170 |
| იტალიის " " | 19 |
| დოლარი, ჩეკი | 250 |

— **გადამდებ სნეულებათა მოძრაობა** 1 მაისს ქალაქის საავადმყოფოში 149 ავადმყოფი იყო გადამდები სენით ავად გამხდარი. 1 მაისიდან—8 მაისამდე საავადმყოფოში შემოვიდა 63 ავადმყოფი. გადამდებ სენით ავადმყოფებთა რიცხვში ქალაქის საავადმყოფოში 1 მაისიდან იყო პარტახტიანი ტიფით ავად 149 კაცში—114. ყვავილით—12. ხოლერით—2. 8 მაისს ქალაქის საავადმყოფოში იყო: 111 კაცი პარტახტიანი ტიფით ავადმყოფი, ყვავილით—13 და ხოლერით 11.

— **მოსავლის ვაჭრობა.** 18 მაის შესდგა ხეხილის მოსავლის ვაჭრობა: ბაღის, ალუბლის, ქლიავის და სხვა (1000 ხემდე) ორთაჭალის მამულში (ყოფ. მანთაშევისა) მოსავალი კომ. მეურნეობის მიწის განყოფილებამ დაუნარჩუნა ხილით მოვაჭრე სოლომონ ჯანგანიშვილს და მ. სარკოტიანცს, რომლებმაც მიაწოდეს უმაღლესი ფასი 150 მილიონი მანეთი.

— **ცეცხლის [illegible]** სახალხო შინაგან საქმეთა კომისარიატის ცეცხლის-ქვე-განყოფილებამ შეადგინა სმეტა ხარჯებისა რესპუბლიკაში ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსაწყობათ, რომელიც ნაანგარიშებია 3 მილიარდ მანეთამდე (20,000 მან. ოქროთი). ამ ხარჯებში შედის ცეცხლის საქრობი მანქანების შეძენა და სხვა საჭირო ინსტრუმენტები. დასარიგებლათ ცეცხლის ინვენტარისა რესპუბლიკის ყველა მოსახლე პუნქტებში, რომელთა აღმას. კომიტეტები ვალდებული ხდება განსაზღვრულ ვადაში ხაზინას დაუბრუნონ მიღებული ინვენტარის საფასური.

— **ცნობები ბოროტმოქმედებათა შესახებ.** სახალხო შინაგან საქმეთა კომისარიატმა ყველა მაზრის აღმას. კომიტეტებს ცირკულიარული წინადადება მისცა, რომ გადაუხვევლად ეცნობოს შინაგან საქმეთა კომისარიატს ნამდვილი ცნობები შესახებ ბოროტ-მოქმედების მიმდინარეობისა.

— **მოსავალი ქალაქის მიწებზე.** ხილის, ბოსტნეულობის მოსავალს ქალაქის მიწებზე საერთო კარგი პირი უჩანს. მხოლოდ დიღუბის, ვერის და საბურთალოს ბაღებში ხილის მოსავალი 10%-20%-მდე სეტყვამ დააზიანა. აგრეთვე დიდი ქარებისაგან დაზარალდა ავლაბრისა და კუკიის ქალაქის აგარაკისა, მაგრამ თუ წვიმები იქნება მათი გამობრუნება შესაძლებელია.

— **ქურდობა.** დიდი ვანქის ქუჩის № 4. სასადილოში, სასადილოს პატრონმა კაჭკაჭიშვილმა შეამჩნია რომ მას სალარადან ეკარგება ფული და ღვინოც. სულ 30 მილიონამდე. მილიციის აგენტების მიერ აღმოჩენილი იქმნა ქურდი იმავე სასადილოს მოსამსახურე მუჩაიშვილი, რომელიც დაიჭირეს და გადასცეს 4 რაიონის სახალხო სასამართლოს.

— **ბინის საქმის გაუგებრობა.** სახლის მეპატრონე კრიჩევსკიმ მილიციას გამოუცხადა, რომ ვინმე ლევიტოვმა მისდა უკითხავად მდგმურებიდან აკრიფა [illegible] ფული, [illegible] მას საათი და [illegible] და საათით ერთად

---

საუკუნის მიწურულებში რუსეთის ორიენტაცია მიიღო.

## დ) რუსეთთან შეერთების მადლიანი გავლენა საქართველოს სოციალურსა და ეკონომიურ ცხოვრებაზე.

ჩვენ ზევით გავარკვიეთ, რომ რუსეთთან კავშირი იმ ხანათ და იმ პირობებში საქართველოსთვის დიახაც სასარგებლო იყო. ამიტომ ამაზე აწ აღარ შევჩერდებით. ამ ქამათ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა რუსეთმა საქართველოს იმის მიუხედავათ, რომ რუსეთმა ძალათ შეიერთა საქართველო, ცინიკურათ დაარღვია ხელშეკრულობა და პატივი არა სცა საერთაშორისო უფლებას. რასაკვირველია, რუსეთის მთავრობას როდი უნდოდა, საქართველოსთვის მიეცა ბევრი ის სიკეთე, რომელიც ნამდვილათ მან ქართველ ერს მიანიჭა. მაგრამ რუსეთის მთავრობის უნებლიეთ ეს სიკეთე მაინც მოხდა. გარდა ამისა, სწორეთ ახლა შეიძლება, კალმა თამამად ილაპარაკოს ამ დადებითი მხარეზე, რადგან ამდენს ხანს შეუძლებელიც იყო და ფაქტიური მოსაზრებით მოუხერხებელიც ამ მხარეებზე შეჩერებულიყო პუბლიცისტი, რადგან იმ ქამათ რუსეთის მთავრობა ძალიან თავხედათ მოქმედობდა, სწორეთ ამიტომაც ამ კითხვას მე გაკვრით ვეხებოდი სხვა და სხვა დროს (იხ. ჩემი თხზულებანი გვ. 35, 268-270), ამით მინდოდა, მკითხველის ყურადღება ოდნავ მიმექცია ამ გარემოებისათვის და იმის გულისყური ამ მხარეზე შემეჩერებია. ვრცლათა და გარკვევით კი ამ მხარეს იმ ხანათ ვერ შევეხებოდი თუ არ ვისურვებდი, დამემსახურებინა სახელი მოღალატისა და გამცემისა.

მაშინ ტაქტიკა მოითხოვდა, რომ რუსეთის მართველობასთან ოპოზიციაში ყოფილიყავი. მაგრამ ზოგიერთისთვის ეს ოპოზიციონერობა იქამდი მიდიოდა, რომ მას აღარ უნდოდა დაენახა რაიმე კარგი მხარე და სიკეთე თვით რუსეთის ცხოვრებაში, რუსულ ლიტერატურაში, რუს მოღვაწეებში და ამ უკანასკნელთა მადლიან გავლენაში ჩვენზე. ბევრს ჩვენს მოღვაწეს არც კი სურდა გაეგონა, რომ სამოციანი წლების ჩვენი სასიქადულო მოღვაწეები აღზრდილი იყვნენ რუსეთის იმ ხანათ დიდი სოციალური ქარტეხილის გავლენით და ამ მოღვაწეებმა განიცადეს მადლიანი ზედმოქმედება რუსეთის მაშინდელის დიდი მოღვაწეებისა. რუსეთის ახალთაობათა საშინელი ბრძოლა რუსეთის მთავრობასთან რუსის ხალხის განსათავისუფლებლად ბევრ ჩვენს მოღვაწეს აშუქად ქონდა აგდებული, რადგან ამ მოძრაობისაგან საქართველოსთვის არაფერს სასარგებლოსა და ხეირიანს მოელოდა. მაგრამ ეს დიდი შეცდომა იყო. ილია ჭავჭავაძეს დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა სამოციანისა და სამოცდაათიანი წლების განმავლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენში ქადაგებდა და ავრცელებდა იმ აზრებსა და შეხედულებათ, რომელნიც რუსეთის მაშინდელს დიდ მოღვაწეებს აცისკროვნებდნენ. ასეთივე დიდი იყო გავლენა და მნიშვნელობა ნ. ნიკოლაძის ოთხმოციანი წლების დასაწყისამდი, სანამ იგი კვალდაკვალ მისდევდა რუსეთის ინტელიგენციას და ამ უკანასკნელის ზრახვებთა და მისწრაფებათ ჩვენში ავრცელებდა და თავგამოდებით იცავდა. მაგრამ ერთისა და მეორის სახელს მკრთალი ნათელი მიეფინა მაშინვე, როცა ამათ გული გაიტეხეს რუსეთის ინტელიგენციაზე და საიმედო და სამომავლო ძალათ დაისახეს რუსეთის თვითმპყრობელობა რადგან ამ თვითმპყრობელობამ ალექსანდრე მესამის ტორებით გასრისა „ნაროდოვოლცე“-ის მედგარი ბრძოლა, ილიამაცა და ნიკოლაძემაც მოისურვეს ამ ბიუროკრატიასთან შეთანხმებულად ემუშავნათ. და ნ. ნიკოლაძემ დაიწყო პაწია საქმიანობის ქება-დიდება. მკითხველს უნდა მიუთითო ერთს საკვირველს მოვლენაზე. ეს საკვირველი მოვლენა ის გახლდათ, რომ ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ერთსა და იმავე დროს დაიწყეს მოღვაწეობა სალიტერატუროსა და საზოგადო ასპარეზზე. იმ თავიდანვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ აკაკი წერეთელი უძლიერესი ნიჭისა და ალმაფრენის უდიდესი მადლის მქონე იყო. მაგრამ ამის მიუხედავად, აკაკის სახელი თითქმის ოცი წლის განმავლობაში შეუმჩნეველი იყო და, თუ ვინმე შეამჩნევდა, მხოლოდ ლიმილისა და დაცინვის კილოთი. ამ დროს მთელის ქართველი განათლებული საზოგადოების მესვეური და მესაიდუმლე იყო ილია ჭავჭავაძე და ნ. ნიკოლაძე. აკაკი კი მივიწყებული და მოუწონებელი იყო. სახელი, გავლენა და პატივისცემა ილია ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძისადმი იზრდებოდა ოთხმოციანი წლების დასაწყისამდი. მაგრამ იმ დროიდან კი, როცა ალექსანდრე მესამემ ტლანქი ტორებით გასრისა „ნაროდოვოლცები“, რუსეთში გამეფდა საშინელი რეაქცია, თავად-აზნაურობას მიანიჭა სხვა და სხვა უპირატესობანი და სუბსიდიები გაუჩინა სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკის საშუალებით, ხოლო ბურჟუაზიის ქომაგი დაუწყო, ქალაქებში გაბატონდა, ახალი ბაზრების შეძენა დაპირდა, აშკარა ცინიზმით შევიწროება დაუწყო მცირე ერებს, გაბატონებული ეროვნება ველიკოროსებისა კი ყოველ უფლებათა აღჭურვილათ გამოაცხადა, —სწორედ ამ დროს ჩატყდა ხიდი მცირე ერების და გაბატონებული ეროვნების შორის. ამ გარემოებამ წარმოშვა მცირე ერების სულის სწრაფვა, რომ განსაკუთრებული გზების გამონახვა იყო საჭირო. კერძოთ კი ჩვენში, საქართველოში, მოისპო მეფის მოადგილეობა და მთავარ-მართებლის ხელისუფლება დამწესდა. ეს კი აშკარად ამბობდა, რომ საქართველოში სრული ნება ფარისევლობისა მიეცა თვითნებასა, გაუმაძღარს და გაიძვერა ბიუროკრატიას. მოკლე ხანში ეს გაიძვერა და ხელ ცივი ბიუროკრატია შეეხმატკბილა სომხობის ბურჟუაზიას. ამ გარემოებამ ქართველ ხალხს ორი მხრით პოლიტიკურისა და ეკონომიური მხრით—საშინელი მეხრუკი მოუპირა და შეურაცხყოფა აგრძნობინა. ამავე დროს ჩვენში ფეხს იკიდებდა და თანდათან წელში იმართებოდა წვრილი ფეხა ჩვენებური ბურჟუაზია. ამ ორმა გარემოებამ წარმოშვა ქართველ ერში ეროვნული სწრაფვისა და ზრახვის გაღვივება და თანდათანი ძლიერებით წამოიჭრა ქართველი ერის წინაშე საკითხი, რომ იმის ხსნა არ იქნებოდა, თუ რომ იგი მკაფიოდ არ ჩამოაყალიბებდა თავისი ეროვნული მისწრაფების აუცილებელ საჭიროებას და არ იდანებდა რასმე, რომ ორი მძლავრის—რუსეთის ბიუროკრატიისა და სომხობის ბურჟუაზიის შეხმატკბილებული მოქმედება ქართველი ერის გაცამტვერებისაგენ მიმართული არ იქნებოდა გათიშული და მოულოდნელი. (ეს გარემოება უფრო ვრცლად აღნიშნული მაქვს ჩემი თხზულების 62—63 გვ.) ამის მიღწევა შესაძლებელი იყო იმ პირობებში მხოლოდ იმით, რომ ქართველ უნდა ღრმად და ძლიერად ეგრძნო და შეეგნო ეს თავისი გამარტოება, აემუშავებია თავისი საკუთარი ძალ ღონე და ეროვნული სიამაყე და სულის კვეთება სადღეისო საკითხად წამოეყენებია. სწორედ ამ დროს ამ სიამაყესა და ამ სულის კვეთებას უდარესად აძლიერებდა და თავ-გამოდებით ჰყაოდა აკაკის მადლიანი ქნარი. და სწორედ ამ დროს აკაკის მივიწყებული, წინად სასაცილოდაც კი აგდებული სახელი თანდათან ამოძახილს პოულობს ქართველი ერის გულსა და მკერდში და აქ ძლიერდება ეს შეგნება და ამ შეგნების შესაფერი ამოქმედება და მოღვაწეობა. ამ დღიდან თანდათან მკრთალი ნათელი ეფინება ილიასა და ნიკოლაძის სახელსა და სახეს. აკაკის სახე კი ქართველი ერის წინაშე ცისკროვნდება, ციაგობს და პატივისცემა მისდამი თანდათან იზრდება და ძლიერდება. აკაკი შეიქნა მესაიდუმლე ოთხმოციანისა და ოთხმოცდაათიანი წლების ქართველი საზოგადოებისა. აკაკის ამ აყვავებულ ქნარზე წარმოიშვა შემდეგ ორი სხვა და სხვა და შეურიგებელი მიმართულება. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ეს ორი მიმდინარეობა, დღემდის ერთმანეთის დაუნდობელი და ერთმანეთთან მებრძოლი, შერიგდა სწორედ იმ ნიადაგზე, რომელი ნიადაგიც გამტკიცებასა და გაღრმავებას უდიდებდა და უმღერდა აკაკის დამწუხრებული ქნარი. ეს ნიადაგია ქართველი ერის სუვერენობის აღსარება და საქართველოს დამოუკიდებულების გამოცხადება. მაგრამ აქ განმეორდა ის, რაც მოუვიდა ნ. ბარათაშვილის თაობას. ეს თაობა შეუთანხმდა და შეურიგდა ნიკოლოზ პირველის რეჟიმს, რომელსაც დეკაბრისტები მეტი სიმკაცრით ლაკავდნენ ვით ჩამოახრჩო, თვით რუსეთის ხალხს კი თავზე რკინის სალტები შემოუჭირა. ამ თაობამ ამ სინამდვილით ძლეულმა აღიარა, რომ რუსეთის თვითმპყრობლობას ქართველი ერისადმი კეთილ-დღეობა მოჰქონდა. ეს კი ძირითადი შეცდომა იყო, რადგან თუ ამ ბიუროკრატიას რაიმე სიკეთე მოჰქონდა, ეს გამოწვეული იყო მეორე რუსეთის მიერ ძალდატანებით, იმ რუსეთის მიერ, რომელიც თვითმპყრობლობას მუდამ კრიჭაში უდგა, ოპოზიციას აწარმოებდა და სულდგმულობდა იმ სამომავლო იმედით, რომელს ეს მეორე რუსეთი, რადიშჩევიდან დაწყებული, დღეს კი ლენინით დამთავრებული, ალტყინებამდი მიჰყვებოდა და თავ განწირულათ ამოქმედებდა. ასეთივე შეცდომა ჩაიდინეს სამოციანისა და სამოცდაათიანი წლების მოღვაწეებმაც. ესენიც პირველ ხანათ ბიუროკრატიის ოპოზიციაში უდგნენ. ამიტომაც ამათი მოღვაწეობა ნაყოფიერი და ღირსშესანიშნავი იყო. შემდეგ კი ესენი შეურიგდნენ ბიუროკრატიას, რადგან ამისგან მოელოდნენ ქართველი ერის დაცვასა და ამ ერის ერთი კლასის, თავად-აზნაურობის გამოსარჩლებას. ესენიც მეორე რუსეთს ჩამოშორდნენ და მას ანგარიში არ გაუწიეს. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ ჩვენს—ახალ თაობაში არ შეწყვეტილა ის საფუძვლიანი და მტკიცე რწმენა, რომ ჩვენი ერის სამომავლო იმედები მთლად ერთიანად დამყარებული იყო ოპოზიციური რუსეთზე და ამ რუსეთთან შეთანხმებულ მოქმედებაზე. დღეს ჩვენ ცხადათ ვრწმუნდებით, რომ ეს იყო ერთად ერთი სწორი და საიმედო გზა. როცა ამ გზას გადაუხვევდა და გადაავიწყდებოდა ჩვენი ინტელიგენციის რომელიმე თაობა, იმ დღიდანვე ეს თაობა რეაქციონური თაობად აცხადებდა თავის თავს. ასეთად იქცა დღეს მმართველი პარტია სოციალ-დემოკრატიაც. ამ აზრის სიმართლეს შემდეგი გარემოებაც ადასტურებს. სომხობის ინტელიგენცია იმ თავიდანვე შეუთანხმდა და შეეგუა რუსეთის ბიუროკრატიას, ამ ბიუროკრატიას ისახავდა იგი სომხობის მხსნელ-ანგელოზად. დღეს აშკარად დამტკიცდა, რომ სომხობა ძალზე შეცდა და სომხის ერიც ამ რწმენისათვის სასტიკათ დაისაჯა და იღუპება.

ი. ფანცხავა.

(შემდეგი იქნება).

გარეშერა. სისხლის სამართლის აგენტურის მიერ აღმოჩენილი იქმნა ლევიტოვი, რომელმაც თავის დანაშაულში გამოტყდა და გადასცა მათ საათი და 3 მილიონი ფული აკრეფილი შინის ფასად. საქმე გადაეცა სახალხო სასამართლოს.

— ხოხუმი. აფხაზეთის სოც. საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო საშინაო საქმეთა კომისარიატი ტელეგრამით აუწყებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, რომ აფხაზეთში შემოსვლა ხოლერის აღკრიცხვით გამოუკლებლივ ყველასათვის აკრძალულია.

— იმერეთში. ესლახან დაბრუნებულმა ტფილისში სახალხო მიწათ-მოქ. კომისარიატის ღვინის და ყურძნის მოშენების ინსპექტორმა ა. ა. ეგოროვმა, რომელმაც დაიარა ვარციხის სახალხო მამული ქუთაისის მაზრაში და სხვა, გვაუწყებს, რომ თანამედროვე პირობებში ვენახები იმერეთში კარგს მდგომარეობაშია და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს. სიტყვა არ უთქვამს. სახაზინო ვენახებში ავადმყოფობა არა ჩანს. მაგრამ გლეხები ჩივიან თავიანთ ვენახების დასნეულებას. შაბიამანის უქონლობა მეტად საგრძნობელია. მცხოვრებლებს ბაზრის ფასებში, რომელიც ფუთი მილიონი ფასობს მისი ყიდვა არ შეუძლიათ. ამისთვის საჭიროა, რომ სახელმწიფომ მიეშველოს მათ და მისცეს შაბიამანი მომავალ ღვინის მოსავლის ანგარიშში. მდგომარეობა მოსახლეობას ღვინო უჯდება 60,000—100,000 მანეთამდე ერთი ვედრა შარშანდელი მოსავლისა. ხილის მოსავალი ერთობ დიდია და ქუთაისის განაპირა სოფლებში ბალი იყიდება ერთი ფუთი ათას მანეთად. პური ყველგან შევრია დათესილი. სიმინდის თესვა ეხლაც გრძელდება. ზამთარი და ადრე გაზაფხული წვიმიანი იყო და კარგს მოსავალსაც მოელიან. მცხოვრებლებს გაყვეთ სარწყავი თხრილები ფართე მაშტაბით ქუთაისის და შორაპნის მაზრის რაიონში. ღვინის დაყენების საქმე ზესტაფონში სრულიად მოწესრიგებულია. სრულიად ჯანსაღი ღვინო ათას ხუთას ლიტრამდე იმყოფება ახალგაზრდა კეთილსინდისიანი ხელოსნის ქალის ე. ი. გუნცაძის ხელში. ქუთაისში მოწყობილია დიდი და კარგად მოწყობილი ორგანიზაცია შორაპნის მაზრის მცხოვრებთა დასახმარებლად, რომელიც დაზარალებულია. სიმინდისაგან დახმარებას ეძიენ მცხოვრებლებს სიმინდის მიცემით.

## სამხატვრო ქრონიკა

გრიშაშვილის საღამო. პოეტი გრიშაშვილი თავის ტრადიციულ საღამოს გამართავს მაისის ბოლო რიცხვებში.

ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეი. კვირას 21 მაისის დილის 12 საათზე სახელმწიფო საოპერო თეატრის დარბაზში სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თაოსნობით გაიმართება ზ. ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. ის დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ სიტყვით მიმართონ იუბილიარს, წინასწარ უნდა ჩაეწერონ შაბათს (ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქუჩა № 13) დილის 11—12 საათამდე და კვირას საოპერო თეატრში 10 საათიდან 12 საათამდე.

## პარტიაში

დღეს, მაისის 20-ს, საღამოს 6 საათზე „ტრიბუნა"-ს რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

—

კვირას, 21 მაისს, საღამოს 6 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ახალგაზრდათა კავშირის საწრაფო სხდომა.

კავშირის წევრებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

პრეზიდიუმი.

## დიდი პოეტის მივიწყებულ სამარესთან.

მიტოვებული, მივიწყებული, ობლად შთენილი მგოსნის საფლავი. მწარე ფიქრით აღმძვრელი არის, უცხერ, და არ გჯერა, გიკვირს და გული გტკივა, ნუ თუ ეს იმ უკვდავი მეფის სამარე, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინეთ, არა ჩვეულებრივის დიდებით დაასაფლავა ქართველმა ერმა, და მთელი საქართველო ძაძით შეიმოსა მგოსნის გარდაცვალებით!. და ნუ თუ ეს მხოლოდ ქართველური აღტყინება იყო მარტოოდ ის?!

და ვაი რომ ეს მართალია.

ევროპიულად კულტურულ ხალხში ეს არ მოხდებოდა, უყურადღებოდ არ დასტოვებდნენ, ლაფ-ლითა და ნაგვით არ დაცვებდნენ, იმ ქალის სამარეს, რომელიც თითქმის საუკუნე წლობით, თავს ევლებოდა, აფხიზლებდა, უღვიძებდა, და უნერგავდა, ძმობა-ერთობის სიყვარულის გრძნობას თავის მშობლიურ ერს და მოუწოდებდა ეკლიანი, თავისუფალი ცხოვრებისაკენ. მის ქნარსა და ლხინს შუა იყოფდა, თვის უნაზეს სამშობლოს სიყვარულით აღსავსე გულში ღვთაებრივი ცეცხლი უღვივოდა, და ღვთიურ ჩანგზედ, უნაზესის გრძნობით გვიამღერდა, წარმტაც ჰანგებს. აი სამარე ოლიმპის ტახტის დიდი ქურუმის, დიდი პოეტის, ჩვენი საყვარელი აკაკისა!.. რომელმაც თავისი სიცოცხლე, აზრი, და გრძნობა, თავისი ერის სიყვარულის სამსხვერპლოზედ დასწვა და დაიფერფლა!.. ვდგევარ მის სამარის ახლოს, და გული სევდით მევსება, ნუ თუ ეს ასე უნდა იყოს?!

მგოსანი აღმაფრენით შესთხოვდა, სამშობლო მხარეს რომ, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო. სულის ჩამდგმელო მხარეო! შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მალოცავარო, ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო. და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს, ანდერძი დაგიბარე: დიდათ შეგიყვარე, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო, ია და ვარდი დამაყარე... ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!" დიახ ზურმუხტად აწევ ნეშვილი არე-მარე, აყვავილებული გაზაფხული გაზაფხულში ზეიმობს! სამშობლო მიწამ ჩიხუტა თავისი ერთგული შვილი, მხოლოდ იმ მიწის გულმკერდზედ, რომელიც მგოსანსა ფარავს, არ არის ია და ვარდი დაფურჩქნილი!. და მის მაგიერ მხოლოდ ლორლია დაგროვილი... სევდით-მოცული იმზირება და გასჩივდება ნეშტ; მწუხრის ჟამს, მთა წმინდის რომელიც მინდობილი ეფუდება, მგოსნის საფლავთან ვდგევარ, მომესმის აღვრიელი მტკვრის დუდუნი, და მახსენდება სევდიანი მგოსნის სიტყვები, „ვინ იცის მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იჭყივ? მრავალ დროიდან მოწმე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!" ო, ნაღვლიანად ჩვეცქერი ძველ ტფილისს, მომესმის მტკვრის ბუტბუტი და, მგონ ნ! ეხლაც ისევე უტყვია მტკვრის დუდუნი!.

გ. ბუთლიაშვილი.

## მოწერილი ამბები

ქ. ჩოხატაური ყველამ კარგათ იცის, რომ თეატრს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად დიდი დანიშნულება აქვს.

მაშინ, როცა რუსეთი და მასთან ერთად საქართველო დაითრგუნა უფლება რევოლუციამ ტკბობისას, ე. ი. 1917 წელს. როცა ყველა კულტურული დაწესებულების განახლების ხანაში იყო, სამეურნეო სოფლის თეატრი თან და თან იცემოდა, ბოლოს და ბოლოს მან სავსებით დაკარგა თავისი დანიშნულება. ყველა მსახიობობდა, ყველა, ვინც მჯდომი არ იყო სცენის მოყვარულ თვალიდან თავის თავს. სოფლებში იდგმებოდა ჩხუბიანი კომედიები, რასაც ადრიდებული ხალხი—ვაჟები და ახალგაზრდა ქალები—ესწრებოდნენ და არა იმიტომ, რომ გაეგოთ პიესის მიზანი.. აბა დრამას ვინ დაესწრებოდა, თუ არა ერთი ან ორი შეგნებული ადამიანი.

მას შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა. დღეს თეატრი გურიაში შეგნებული სცენის მოყვარეების წყალობით, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. სხვათა შორის აღსანიშნავია ჩოხატაურის თეატრი. დღეს იგი განახლებული თვალით იყურება და ამიტომ ყურადღების ღირსიც არის. ამ თეატრს განახლება დაეტყო მაშინ, როცა მას შეუერთდა ნიჭიერი სცენის მოყვარენი, რომელთა შორის აღსანიშნავია: ნიკო გურული, ქეთო სხივიშვილი, ვერა ძნელაძე და ბიდია ყიფიანი. სერგო ბოლქვაძე ხომ ამ თეატრის აღმდგენელია. ზემო ჩამოთვლილმა ადამიანებმა, რომელთა გული გამსჭვალულია ქართველი საზოგადოების სიყვარულით და რომლებიც ცდილობენ ხალხის გულში კაცთმოყვარეობის გრძნობების ჩანერგვას, დიდი ენერგია დახარჯეს, გაუკაფეს გზა და მისცეს ერთგვარი მიმართულება არა მარტო ჩოხატაურის თეატრს, არამედ ირგვლივ მდებარე სოფლების თეატრებსაც კი.

ისინი სისტემატიურად დგამენ წარმოდგენებს და ხშირად ისეთ პიესებსაც, რომლის დადგმა ზოგიერთ დამსახურებული მსახიობისათვის საძნელო საქმეს წარმოადგენს. ასეთი დაუღალავი და თან ტკბილი შრომისათვის ქართველი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს მათ!.

დ. ივანიშვილი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 5

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

იძულებითი სამუშაოს მოწყობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს იძულებითი სამუშაოს მოწყობა იმ პირთათვის, ვისაც მისჯილი აქვს იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილას დაუმწყვდევლად.

2. იძულებითი სამუშაოს მოწყობისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილას დაუმწყვდევლად, დაარსდეს ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრისათვის ტფილისში—ცენტრალურ დასჯა-გასწორების განყოფილებასთან, ხოლო ადგილობრივ—იუსტიციის სამაზრო განყოფილებებთან „იძულებითი სამუშაოს ბიუროები", შემდეგი შედგენილობით: ბიუროს ორი წევრი, რომელთაგან ერთი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან მმართველობის წარმომადგენელია, ხოლო მეორე შრომის ადგილობრივი განყოფილებისა; ორივე წევრი შედის ბიუროში დანიშვნით სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა და შრომის განყოფილების მიერ; ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრის ბიუროს თავმჯდომარედ არის ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილების გამგის თანაშემწე, სამუშაოთა ნაწილისათვის, ხოლო დანარჩენ ადგილებში—სამაზრო იუსტიციის განყოფილების გამგე.

**შენიშვნა**: იმ შემთხვევაში, უკეთუ ადგილობრივ შრომის განყოფილების წარმომადგენელი არ იმყოფება, ბიუროს მეორე წევრსაც აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს.

3. იძულებითი სამუშაოს ბიუროს მოვალეობას შეადგენს: თავისუფლების აღუკვეთელად იძულებითი მუშაობა-მისჯილთა აღნუსხვა და რეგისტრაცია, მათი განაწილება და სამუშაოზე გაგზავნა, იძულებითი სამუშაოს მოწყობის გამგებლობა და მისი ორგანიზაცია, კონტროლი და უშუალო მეთვალყურეობა მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის.

**შენიშვნა**: განაჩენისა თუ დადგენილების ასლი თავისუფლების აღუკვეთელად იძულებითი მუშაობა-მისჯილთურთ, განაჩენის გამომტან ორგანოს მიერ უნდა გაიგზავნოს უშუალოდ ბიუროში საჭირო ცნობებით იმის შესახებ, თუ რისთვის, რა ვადით და რა გვარი სამუშაო მიესაჯა მსჯავრდადებულს.

**შენიშვნა**: თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი მუშაობა-მისჯილთა განაწილება და სამუშაოზე დანიშვნა არ შეიძლება თვინიერ იძულებითი სამუშაოს ბიუროსი.

4. იძულებითი სამუშაოს ბიურო თავის ფუნქციებს ადგილობრივ ანხორციელებს უშუალოდ ხოლო მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის კონტროლისა და უშუალო მეთვალყურეობის ფუნქცია შეუძლიან განახორციელოს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

**შენიშვნა**: მეთვალყურეობა—განაჩენის სისწორით აღსრულებისათვის შეადგენს სახალხო მოსამართლის მოვალეობასაც.

5. მუშაობის განვითარების მიხედვით, იძულებითი სამუშაოს ბიურო, ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილების ნებართვით, დანიშნავს უფროს და უმცროს ათისთავების საჭირო რიცხვსა.

6. იძულებითი სამუშაო შეიცავს შემდეგ კატეგორიას:

ა) მძიმე სამუშაო: მძიმე ტვირთის ზიდვა, შეშის ჭრა და ხერხვა, დატვირთვა და გადმოტვირთვა და ხელით შესასრულებელი სხვა მძიმე სამუშაო;

ბ) უფრო იოლი ფიზიკური შრომა: დალაგება და გასუფთავება სადგომებისა და ქუჩებისა, პაკეტების დატარება და სხვა;

გ) მუშაობა საბჭოთა და საწარმოო დაწესებულებაში სპეციალობის მიხედვით.

7. შრომის გასამრჯელო იძულებითი მუშაობა-მისჯილს ეძლევა სათანადო პროფესიონალური კავშირის განაკვეთის მიხედვით; გასამრჯელოდ მისაცემი ფულიდან დაჭერილ უნდა იქნეს 15%-ი „იძულებითი სამუშაოს ბიუროს" საორგანიზაციო ხარჯებისათვის.

8. იძულებითი მუშაობა-მისჯილს და სამუშაოს მოსახდელად, გაგზავნილს პასპორტისა ან მისი სამაგიერო დოკუმენტის ნაცვლად, ეძლევა დროებითი სამუშაო წიგნაკი, რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ ბიუროს უნდა დაუბრუნდეს.

9. სასჯელის მოხდის ვადა იწყება მსჯავრდადებულის ბიუროში მიყვანის დღიდან, სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაითვალოს:

ა) ის დღეები, როდესაც მსჯავრდადებულს ფაქტიური მონაწილეობა მიუღია მუშაობაში;

ბ) ის დღეები, როდესაც მსჯავრდადებულს არ შეეძლო იძულებითი სამუშაოში ფაქტიური მონაწილეობის მიღება ბიუროს მიერ სამუშაოს მიუცემლობის გამო და

გ) ის დღეები როდესაც მსჯავრდადებული ბიუროში გამოცხადდება სარეგისტრაციოდ და შესამოწმებლად.

10. იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც სამუშაო დღეებს გააცდენს ან მუშაობას სრულიად თავს აარიდებს, შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

ა) მსჯავრდადებულის მიზეზით გაცდენილი თვითეული დღისათვის იძულებითი მუშაობის ვადა გადიდებულ უნდა იქნეს სამ დღემდე;

ბ) უკეთუ დღეების გაცდენა გამეორდა, ბიუროს უფლება ეძლევა დამნაშავე დისციპლინარული წესით დააპატიმროს ამისათვის მიჩენილ ადგილას—1-დან 10 დღემდე, და

გ) ბიუროს შეუძლიან მუშაობაში ზარმაცსა და უმუყაითოს დაუჭიროს ხელფასიდან გაცდენილი საათების ფული, დაჭერილი თანხა უნდა გადაირიცხოს ხაზინის შემოსავალში.

11. უკეთუ მსჯავრდადებული დაქინებით თავს არიდებს მუშაობას, ბიურო ამის შესახებ აუწყებს სათანადო, ან სამუშაოს მოსახდელ ადგილის უახლოეს სახალხო სასამართლოს, რომელიც გაარჩევს რა საქმეს—შეუძლიან დაადგინოს, რომ მსჯავრდადებული გაგზავნილი იქნეს საპატიმროში სასჯელის დარჩენილ ვადის, ან ამ ვადის ნაწილის მოსახდელად.

12. ბიუროს შეუძლიან სასჯელის ნახევარი ვადის გასვლისას, აღძრას შუამდგომლობა განაჩენის გამომტან დაწესებულების წინაშე, მუყაითად და კეთილსინდისიერად მომუშავე მსჯავრდადებულის სასჯელის ვადის გასვლამდე განთავისუფლების შესახებ.

13. თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი მუშაობა-მისჯილი შრომის დაცვის მხრივ სარგებლობს ყველა უფლებას.

14. მსჯავრდადებული ვალდებულია ბიუროს მიერ დანიშნულ დღეებში, თვეში ერთხელ მაინც გამოცხადდეს სარეგისტრაციოდ; ამასთანავე, ყველა დაწესებულება, რომელიც სარგებლობს სასჯელის მომხდელთა შრომით, ვალდებულია ყოველთვიურად არა უგვიანეს 15-ს რიცხვისა, გაუგზავნოს ბიუროს იმ პირთა სია, რომელნიც აღნიშნულ დაწესებულებაში იხდიან იძულებითი მუშაობას, და აგრეთვე ცნობები იმ მსჯავრდადებულთა შესახებ, ვინც არა კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ყოველი ასეთი შემთხვევა, ბიუროს მიერ შემოწმებული, შეტანილ უნდა იქნეს მსჯავრდადებულის სამუშაო წიგნაკში.

**შენიშვნა**: უკეთუ რომელიმე დაწესებულება არ შეასრულებს მე-14 მუხლში აღნიშნულ მოვალეობას, ბიურო ამის შესახებ აცნობებს უმაღლეს სათანადო დაწესებულებას განკარგულებისათვის.

15. უკეთუ მსჯავრდადებული სასჯელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გარეშე იხდის და იქ მას ოჯახი, ქონება თუ სამსახური, სადაც მის მაგიერობას ვერავინ გასწევს, იგი შეიძლება მივლენილი იქნეს სასჯელის მოსახდელად მისი საცხოვრებელი ადგილის ბიუროს განკარგულებაში.

16. განაჩენის გამომტანი დაწესებულების ნებართვით, ბიუროს შეუძლიან იძულებითი მუშაობისაგან დროებით გაანთავისუფლოს:

ა) სასჯელის მომხდელი ავადმყოფი, ადგილობრივი მეთვალყურე ექიმისა, ან ჯანმრთელობის ადგილობრივი განყოფილების მიერ განსაზღვრულ ვადით, და

ბ) ფეხმძიმენი, არსებული დებულების თანახმად.

17. ნამდვილ სამსახურში გასაწვევი პირი, როგორც გასაწვევ წლოვანობას მიღწეული, ისე სამხედრო ბეგარა-მოხდილი—სამხედრო ვალდებული, სათანადო სამხედრო კომისართან შეთანხმებით უნდა განთავისუფლდეს იძულებითი მუშაობისაგან სამხედრო ნაწილში გასაგზავნად.

18. ზოგადი, პრინციპიალური ხასიათის საკითხებს, რომელსაც კავშირი ექნება იძულებითი სამუშაოს მოწყობასა და წარმოებასთან, გადასწყვეტს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილება.

19. ცენტრალურ დასჯა-გასწორების განყოფილებას ევალება აგრეთვე საერთო მეთვალყურეობა იძულებითი სამუშაოს ბიუროს მიერ იძულებითი სამუშაოების შესახებ გამოცემული დეკრეტებისა და განკარგულებათა სისწორით აღსრულებისათვის და ინსტრუქციების გამოცემა აღნიშნულ სამუშაოთა ორგანიზაციისა და წარმოებისათვის.

20. გაუქმებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკაში ამ ჟამად არსებული ყველა საკონცენტრაციო ბანაკი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე**.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ბროდსკი**.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. **სვანიძე**.

1922 წ. მაისის 17.

ტფილისი-სასახლე.

---

საკონკურსო—სარეგისტრაციო კომისიის გამოცემული— მთავარი კომიტეტი

**დავკარგე** პირადობის მოწმობა, მოცემული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ დარგიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

გრიგოლ ვიქენტის ძე ქუთათელაძე.

ტირაჟი 700 საქართვ. კომუნისტურ პარტიის ამხ. კომიტ. სტამბა, ... ქუჩა, 4. ნ. ფ. ს. ც.